ხაშურის მოამბე

№41 (122) 30 ოქტომბერი, ორშაბათი, 2017 წელი

„ივერია" ისევ „ივერიებს"

რამდენიმე თვის წინ, ჩვენ უკვე დავაანონსეთ იმ სიახლის შესახებ, რომელიც ივერიის" სტადიონის მშენებლობას ეხებოდა. დღეს უკვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს პროექტი რეალობად იქცევა და ამდენი ხნის ნანატრი სტადიონი ჩვენს ქალაქს ექნება. სიმართლე ითქვას, დაუჯერებლადაც კი ჟღერდა, რომ საქართველოში სიდიდით მერვე ქალაქს საკუთარი სტადიონი არ გააჩნია. არადა, იმხელა საფეხბურთო ტრადიცია და ისტორია აქვს ხაშურს, რომ ბევრი ქალაქი ვერ დაიკვეხნის. უფრო მეტიც, ჩვენ ადრეც გვითქვამს და ახლაც ვამტკიცებთ: ქვეყნის ისტორიაში „საფეხბურთო აკვანი" სწორედ აქ, ხაშურში დაირწა და პირველი საერთაშორისო მატჩიც აქ გაიმართა. ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ფაქტის არავითარი დოკუმენტური მტკიცება აღარ დარჩა. თუმცა, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, პირადად მე, მაშინ ახალგაზრდა ჟურნალისტს, მქონდა თვითმხილველთა ჩანაწერები, რომელთა გადმოცემითაც, 1902

წელს, ხაშურში, შოტლანდიელებსა და ხაშურლებს შორის შედგა ისტორიული მატჩი, რომელიც შოტლანდიელთა გამარჯვებით – 6:1 დამთავრდა. შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს, საიდან შოტლანდიელებიო, მაგრამ, ეს უკვე ისტორიული ფაქტია, რომ იმ წლებში, ხაშურში, დღევანდელი მე-7 საჯარო (ყოფილი რკინიგზის მე-14) სკოლის ტერიტორიაზე შოტლანდიელი ჯარისკაცებით დაკომპლექტებული გარნიზონი იდგა. სწორედ მათგან წამოსულა ინიციატივა და ეს მატჩიც გაიმართა. დღეს ფოთს აქვს პრეტენზია, რომ სწორედ მათთან, 1906 წელს დაიწყო ქართული ფეხბურთის ისტორია. მათ ამის დოკუმენტური მტკიცებულებებიც გააჩნიათ და ქვეყანაშიც ასეა მიჩნეული. არადა, თუ ოდესმე ჩვენც მივაკლიეთ რაიმე მასალას, ჩათვალეთ, რომ ისტორიას შევცვლით..

ძალიან გადავერთეთ ისტორიულ წიაღსვლებში და ბარემ იმასაც გავიხსენებთ, როგორ აიგო პირველი სტადიონი ხაშურში. ამ პროცესში, 30-იან წლებში, მთელი ქალაქი ჩართულა და თითქმის ყოველდღე ასეულობით მოხალისე ე.წ. „შაბათობებში" იღებდა მონაწილეობას. იმ დროისთვის მართლაც ლამაზი სტადიონი აიგო. მასიური გალავნით, რომელმაც თითქმის 50 წელი იარსება. 90-იან წლებში ამ სტადიონის მთლიანი რეკონსტრუქცია მოხდა. მისი მშენებლობის ტემპი იმდენად სწრაფი იყო, რომ ხარისხი თითქმის იგნორირებულ იქნა. შედეგმაც არ დააყოვნა და სულ რაღაც 10 წელიწადში სტადიონმა ნგრევა დაიწყო. რა თქმა უნდა, გავლენა იქონია იმ წლების ქაოსმაც, როდესაც აღარაფერს ექცეოდა ყურადღება და ის შედეგიც მივიღეთ, რაც დღესაა. ორიათასი წლიდან დღემდე ყველა ხელისუფალი გვპირდებოდა, რომ ხაშურს ახალი სტადიონი ექნეოდა, მაგრამ... მხოლოდ დღევანდელმა ხელისუფლებამ შეძლო და სიტყვა საქმედ აქცია. პირველი პროექტი, რომელიც ამ ნახევარი წლის წინ გავაცანით მკითხველს, სრულიად შეიცვალა და დღეს ასეთი სახე მიიღო. გაიზარდა მშენებლობის ხარჯიც. სტადიონის აგება 5 მილიონ 600 ათას ლარი დაჯდება. აქედან ძირითად თანხას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო გაიღებს. მუნიციპალიტეტი მასში 20 პროცენტიანი წილით ჩაერთვება. დღეისათვის მოლაპარაკებები უკვე დასრულების ფაზაშია და მშენებლობისთვის, ალბათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც გამოყოფს თანხებს.

სტადიონი აბსოლიტურად თანამედროვე იქნება 2 ათას მაყურებელზე გათვლილი და მეხუთე თაობის ხელოვნური საფარით. სხვათაშორის, ხელოვნური საფარი ძალიან მისაღებია, რადგან ხაშურის მკაცრ კლიმატურ პირობებში თითქმის შეუძლებელია ბუნებრივი საფარი იდეალურ პირობებში შევინახოთ. იქნება ღამის განათებაც და შესაძლებლობაც, რომ თამაშები გვიან გაიმართოს. ათეულობით ავტომობილზე გათვლილი პარკინგი კი სრულიად გამორიცხავს საცობებს. სტადიონი შშმ პირებზეც იქნება ადაპტირებული.

მოკლედ, სულ უმნიშვნელო დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი და ალბათ საქმეც დაიძვრება. არც შეიძლება სხვაგვარად. ამ ულამაზესი სახელის მქონე სტადიონს სხვაგვარად არ ეკადრებოდა.

სულ ცოტაც და „ივერია" ისევ „ივერიებს!"

გ. გოგოლაძე

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სისტემას ჯიდევ ორი საბავშვო ბაღი დაემატა

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანებამ" ხაშურის მეექვსე და ქვიშხეთის საბავშვო ბაღები ელექტრო ტექნიკით აღჭურვა. უახლოეს დღეებში, აღნიშნულ სააღმზრდელო დაწესებულებებში დაგეგმილია ავეჯის შეტანა.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით განხორციელდა ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, №6 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები. № 6 საბავშვო ბაღის შენობა გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენდა და ავარიული მდგომარეობის გამო, წლების განმავლობაში, თავის ფუნქციებს ვეღარ ასრულებდა. ამჯერად კი თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ საბავშვო ბაღში, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლებისთვის საჭირო ყველა პირობა იქნება გათვალისწინებული.

ასევე, თანადაფინანსებით განხორციელდა სოფელ ქვიშხეთში საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ქვიშხეთში, რომელიც მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი დიდი სოფელია, 20 წელზე მეტია, რაც საბავშვო ბაღი არ ყოფილა და ბოლო წლებში მხოლოდ ალტერნატიული ბაღი ფუნქციონირებდა, ამიტომ ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აგებული საბავშვო ბაღი ქვიშხეთელი პატარებისთვის მნიშვნელოვანი საჩუქარი იქნება.

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების " ხელმძღვანელის განცხადებით, ქვიშხეთის და მეექვსე საბავშვო ბაღის აღსაზრდელები სააღმზრდელო დაწესებულებებით სარგებლობას უახლოესი დღეებიდან შეძლებენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობენ ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს სიმონ ნოზაძეს დედის

ლეილა მაისურაძე-ნოზაძის

გარდაცვალების გამო

გაზეთის „ხაშურის მოამბე" რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატს სიმონ ნოზაძის დედის

ლეილა მაისურაძე-ნოზაძის

გარდაცვალების გამო

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია იუწყება რომ გარდაიცვალა ფლევის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი

ლეილა მაისურაძე-ნოზაძე

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს

ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" აუდიტორული შემოწმების შედეგები

(საგაზეთო ვარიანტი)

აუდიტის მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად ჯგუფზე გადაცემული დოკუმენტები

გადმოგვეცა შემდეგი დოკუმენტაცია:

- დაფუძნების მასალები, წესდება, სამოქმედო პროგრამის მიმდინარეობის შესრულების დოკუმენტაცია;
- საკონტროლო პერიოდის, როგორც გეგმიური, ასევე საკასო შესრულების დოკუმენტები;
- პროგრამაზე სამოქმედო გეგმების მიზნების და ამოცანების განხორციელების მიმდინარე მონიტორინგის მონაცემები;
- ა(ა)იპ-ის დამტკიცებული საშტატო განრიგი;
- საბანკო ოპერაციების წარმოების დოკუმენტაცია, ავიზოს მონაცემების შესაბამისად შესყიდული საოფისე და სხვა ინვენტარის დოკუმენტები;
- დარიცხული და გაცემული ხელფასის დოკუმენტაცია;
- დოკუმენტები ძირითადი და მცირეფასიანი ქონების შესყიდვასა და სარგებლობაზე;
- გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ა) ზოგადი დებულებანი

იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი -„ხაშურსერვისი" (შემდგომში იურიდიული პირი);

იურიდიული პირის მისამართია: ქ. ხაშური, კოსტავას ქ.№7;

იურიდიული პირის საქმიანობის ვადა განუსაზღვრელია;

იურიდიულ პირს შეუძლია გახსნას საანგარიშსწორებო და სხვა სახის ანგარიშები საქართველოს საბანკო დაწესებულებებში;

იურიდიული პირის დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი -„ხაშურის თვითმმართველი ერთეული"- ხაშურის მუნიციპალიტეტი, მარეგისტრირებელი ორგანო - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: 16016990, 11/02/2016 13:01:42.

ბ) იურიდიული პირის ძირითადი მიზნები და საქმიანობის საგანი

ა(ა) იპ „ხაშურსერვისის" შექმნის ძირითადი მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა და მოიცავს შემდეგ სფეროებს:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე დასახლებული პუნქტების ტერიტორიების შიდა გზების დასუფთავება, განათება და შიდა გზების დაპროფილება.

ბ) დასახლებათა ტერიტორიების, ქუჩების, მოედნების, ტროტუარების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავება, გათოვლა, საოჯახო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სხვა სახის (ნაგავი და გადანაყარი) ნარჩენების დახარისხების, გატანის, შეგროვებისა და ტრანსპორტირების ორგანიზება.

გ) სანაგვე ურნების, კონტეინერების, ნარჩენების განთავსების ადგილების (ნაგავსაყრელების) მოვლა-პატრონობა და ნარჩენების გადასამუშავებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

დ) ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების, მაგისტრალების, ქუჩების, გზების, საზოგადოებრივი ადგილების, სკვერების, პარკების, გამწვანებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების, ქალაქის განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, გარე განათების ქსელების პროექტირება, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და შენობა-ნაგებობების დეკორატიულ-მხატვრული განათება.

ე) სადღესასწაულო და სხვა ღონისძიებების მხატვრულ-დეკორაციული (სადღესასწაულო ილუმინაციები, დეკორაციები, დროშები, ბანერები, სცენები, ფეიერვერკები და ა.შ.) და სხვა საჭირო ატრიბუტიკითა და გახმოვანება-განათებით უზრუნველყოფა.

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და ამ სფეროში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება-ხელშეწყობა.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ანალიზი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით დადგინდა: ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №157 განკარგულების საფუძველზე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" და „ზ" ქვეპუნქტების, მე-19 მუხლის „ბ" პუნქტის და 61-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ „ხაშურსერვისს" დაუმტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრების დარიგების მომსახურების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის 2016 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 1456000 (ერთი მილიონ ოთხასორმოცდათექვსმეტიათასი) ლარი, მათ შორის: მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების ქვეპროგრამა 896000,0 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 491108,0 ლარი, საქონელი და მომსახურება - 404892,0 ლარი, მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების ქვეპროგრამა 260000,0 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურება 84360,0 ლარი, საქონელი და მომსახურება 175640,0 ლარი, ქალაქის ქუჩების, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი შიდა გზების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა 300000,0 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე 105000,0 ლარი, საქონელი და მომსახურება - 195000,0 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტში უხვი ნალექების მოსვლამ თოვლის სახით, რამაც გამოიწვია ადმინისტრაციულ ცენტრთან სოფლების და დაბის მისასვლელ გზებზე და შიდა საუბნო გზებზე გადაადგილების პრობლემა, საჭირო გახდა საგზაო ინფრასტრუქტურისთვის გათვალისწინებული თანხების გაზრდა.

ხაშურის საკრებულოს 2016 წლის 21 დეკემბრის №151 განკარგულებით, 2015 წლის 15 დეკემბრის №157 განკარგულებაში საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის შესაბამისად, შევიდა ცვლილება და პროგრამა განისაზღვრა ისევ 1456 000 ლარით, მაგრამ მოხდა თანხების გადანაწილება ქვეპროგრამებს შორის, მათ შორის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების ქვეპროგრამა განისაზღვრა 868000,0 ლარით, მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების ქვეპროგრამა 250000,0 ლარით, ქალაქის ქუჩების, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი გზების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა 338000,0 ლარით. აღნიშნულ განკარგულებაში გათვალისწინებული არ არის დასუფთავებისა და სანიტარულ ღონისძიებათა ქვეპროგრამაში 30000,0 ლარით შემცირება, რომელიც მანამდე განხორციელებულია მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ.

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე, ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, მისმა შემოსულობებმა შეადგინა 1467845,79 ლარი, ნაცვლად გეგმიური 1477992,57 ლარისა, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები 1412475,79 ლარი, ნაცვლად გეგმიური 1437992,57 ლარისა, სხვა შემოსულობები (საკუთარი) - 55370,0 ლარი, ნაცვლად გეგმიური 40000,0 ლარისა, მათ შორის საკუთარმა შემოსულობებმა დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებებისგან შეადგინა 41660,0 ლარი, ნაცვლად გეგმიური 30000,0 ლარისა, შიდა გზების მოვლა პატრონობიდან 11680,0 ლარი, ნაცვლად გეგმიური 5000,0 ლარისა, გარეგანათების ღონისძიებებისგან 2030,0 ლარი, ნაცვლად გეგმიური 5000,0 ლარისა. დაწესებულების საკასო შესრულების ხარჯებმა პროგრამების (ქვეპროგრამების) მიხედვით 2016 წლის საანგარიშო პერიოდში, შეადგინა 1467592,34 ლარი, ნაცვლად გეგმიური 1467845,79 ლარისა, მათ შორის - დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები 847107,42 ლარი, ნაცვლად გეგმიური 868000,0 ლარისა, გარე განათების ღონისძიებები 272479,98 ლარი, ნაცვლად გეგმიური 254992,57 ლარისა, შიდა გზების მოვლა-პატრონობა 334573,84 ლარი, ნაცვლად გეგმიური 343000,0 ლარისა, წყლის სისტემების ზედამხედველობა 13431,1 ლარი, ნაცვლად გეგმიური 12000,0 ლარისა.

დაწესებულების ხარჯებმა მუხლების მიხედვით შეადგინა: შრომის ანაზღაურება 685620,28 ლარი, გეგმიური 692472,0 ლარი, საქონელი და მომსახურება 302573,37 ლარი, გეგმიური 285000,0 ლარი, მივლინება - 330,0 ლარი გეგმიური - 4000,0 ლარი, ოფისის ხარჯები - 738,0 ლარი, გეგმიური - 15000,0 ლარი, რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 19138,88 ლარი, გეგმიური - 25000,0 ლარი, ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები - 459191,81 ლარი, გეგმიური - 456520,57 ლარი.

წყლის ზედამხედველობის პროგრამის ხარჯები თანხით 13431,1 ლარი, რომელიც შედგება ამ სისტემის მუშაკების ხელფასებისგან - საკრებულოს მიერ პროგრამის (ქვეპროგრამის) სახით განხილული და დამტკიცებული არაა. მუშაკებზე ხელფასები გაცემულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საფინანსო სამსახურის მიერ შეტანილი ცვლილებებით და დაწესებულების თანამშრომელთა საშტატო ერთეულების და სახელფასო განაკვეთების საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის მიერ და შეთანხმებულია მუნიციპალიტეტის გამგებელთან.

საშტატო განრიგი, პერსონალის (თანამშრომელთა) კვალიფიკაცია, პროფესიული შესაბამისობა მათ საწარმოო საქმიანობასთან

წესდების შესაბამისად, საშტატო ნუსხის განაკვეთის განსაზღვრა ხდება დირექტორის მიერ, რომელიც წესდების შესაბამისად შეთანხმებულია დამფუძნებელთან (წარმოდგენილი ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის სახით) და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ ამოცანებს და განსახორციელებელ საქმიანობას. ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს. მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" დირექტორის მიერ დამტკიცებული 2016 წლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 157 ადამიანი, ორგანიზაციაში 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე, სხვადასხვა პერიოდში, თანამშრომელთა საშუალო სიობრივმა რაოდენობამ შეადგინა 155 ადამიანი.

(დასასრული III გვერდზე)

(დასასრული)

ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" აუდიტორული შემოწმების შედეგები

(საგაზეთო ვარიანტი)

შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების აუდიტი

2016 წლის საანგარიშო პერიოდში, შრომის ანაზღაურების სახით დარიცხულია 685991,16 ლარი, საშემოსავლო გადასახადის სახით დარიცხულია და გადარიცხულია ბიუჯეტში 121733,51 ლარი, საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შეღავათი შეადგენს 77723,65 ლარს.

დაწესებულების მოგებამ საკუთარი შემოსავლებიდან შეადგინა 5706,0 ლარი, დარიცხულია და გადახდილია ბიუჯეტში 856,0 ლარი.

მივლინებები და პრემიები

2016 წლის 12 თვეში, მივლინებების სახით, გაცემულია 330,0 ლარი, გეგმიური 4000,0 ლარი. პრემიებისა და დანამატების სახით დაწესებულებას თანხები გაცემული არა აქვს.

ოფისის ხარჯები

ოფისის ხარჯების მუხლით 2016 წლის საკასო ხარჯმა შეადგინა 738,0 ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15000,0 ლარისა.

შესყიდვები

ჩვენს მიერ, შერჩევის წესით, შემოწმებულ იქნა ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობები და დადგინდა, რომ ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობა იმყოფება ადგილზე და მათი ღირებულება შეესაბამება მათზე გადახდილ ფასს. ინვენტარის გადაცემა მომხდარია მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც დასტურდება აქტზე ხელმოწერებით.

დაწესებულების შესყიდვების წლიური გეგმა 2016 წლის საანგარიშო წელს შეადგენდა 828947,0 ლარს , ა(ა)იპ „ხაშურსერვისის" მიერ განხორციელებულმა შესყიდვებმა კი კორექტირების შემდეგ შეადგინა 848170,38 ლარი, მათ შორის: გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა 94662,21 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, კონსოლიდირებული შესყიდვის საშუალებით 222379,20 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით 355428,97 ლარის ღირებულების, ხოლო ელექტრონული ტენდერის საშუალებით 175700,0 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვა.

არაფინანსური აქტივები

ორგანიზაციას 2016 წლის 1 ოქტომბრისთვის ბალანსზე ერიცხებოდა მატერიალური ფასეულობები 85 ერთეული, თანხით 53214,4 ლარი. ძირითადი ქონება (შენობა-ნაგებობები) და სხვა ინვენტარი წარმოადგენს მუნიციპალურ და სახელმწიფო ქონებას.

დებიტორები და კრედიტორები

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება შეადგენს 1038 ლარს, კრედიტორული დავალიანება კი ერიცხებოდა 2301,04 ლარი, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 37,7 ლარი, კრედიტორულმა დავალიანებამ კი 35686,5 ლარი.

ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგების მდგომარეობა

ორგანიზაციაში ყველა მატერიალური პირი დანიშნულია ბრძანებით. ორგანიზაციაში, ძირითადად, დაგეგმილია ქვეყანაში არსებული საერთო სააღრიცხვო სისტემა. ორგანიზაცია გადასულია ბასს-ზე.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უზუსტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

შემოწმებული საანგარიშო პერიოდისთვის ანგარიშების წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ხდება მუდმივად, დადგენილ ვადებში.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის განსაზღვრა

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მომენტისათვის. სააუდიტო პერიოდში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მთლიანი საბიუჯეტო თანხებიდან, არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

დაწესებულების ხარჯებიდან განსაკუთრებით დიდი წილი მოდის საწვავის შეძენაზე, რომლის შეძენაც მოხდენილია ძირითადად კონსოლიდირებული წესით სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებიდან, საწვავის შეძენის რეალობა დასტურდება სპეციალური ანგარიშ-ფაქტურებით.

საწვავის ჩამოწერა მოხდენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის №230, 2011 წლის 18 აპრილის ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად -„ეკონომიკურ საქმიანობაში ძირითად საშუალებებზე (ავტოტრანსპორტი, სპეცტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესის" დამტკიცების თაობაზე.

გზების მოვლა-პატრონობაზე, წმენდით სამუშაოებზე და სხვა შესრულებულ სამუშაოებზე გაკეთებულია მიღება-ჩაბარების აქტები, ვინაიდან დაწესებულების მფლობელობაში არსებული ტექნიკის უმრავლესობას არ გააჩნია გამართული ოდომეტრები, რომლის მაჩვენებლების მიხედვითაც უნდა მოხდეს საწვავის ჩამოწერა, ტექნიკაზე საწვავის ჩამოწერა მოხდენილია დაწესებულების თანამშრომელთა მიერ ჩატარებული ქრონომეტრაჟის დროს გამოვლენილი ხარჯვის შესაბამისად. საწვავი ჩამოწერილია არსებულ ნორმებზე უმნიშვნელო გადახრებით და აკმაყოფილებს ზემოთ მოყვანილი ბრძანების მოთხოვნებს (თუ სატრანსპორტო საშუალებების, მათ შორის სპეცტექნიკის და სხვის - გამოშვების წლიდან გასულია არა უმეტეს 5 კალენდარული წელი - დასაშვებია 20%-იანი ცდომილება).

2016 წლის საანგარიშო პერიოდში - საქონელი და მომსახურება, ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯების მუხლებში ადგილი ქონდა დაგეგმილზე მეტი ხარჯების გაწევას.

საბანკო ოპერაციების ანალიზი

დაწესებულება სარგებლობს „ლიბერთი ბანკის" სახაზინო ანგარიშით, საიდანაც ხდება ყველა გადარიცხვები, როგორც პარტნიორ საწარმოებზე, ასევე თანამშრომელთა ხელფასებისა მათ პირად ანგარიშებზე, სახაზინო ანგარიშზე ხდება აგრეთვე საკუთარი შემოსავლების კონსოლიდაციაც.

სახაზინო ანგარიშიდან თანხების გადარიცხვა ხდება დაწესებულების მიერ წარდგენილი მოთხოვნების შესაბამისად მასზე დამტკიცებული პროგრამების ფარგლებში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშით 2016 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ა(ა)იპ ხაშურსერვისისათვის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება და ფაქტიური დანახარჯები შესრულებულია შემდეგნაირად:

დაწესებულების 2016 წლის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების გეგმა შეადგენს 1439432,0 ლარს, ფაქტიურად დაწესებულების მიერ ათვისებულია 1412476,06 ლარი, ასათვისებელი დარჩათ 26955,94 ლარი.

რეკომენდაცია

- ვინაიდან დაწესებულებას დიდი ოდენობით უწევს გზების მოვლა პატრონობაზე, წმენდით სამუშაოებზე და სხვა შესასრულებელ სამუშაოებზე თანხების ხარჯვა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუნიციპალიტეტის გამგეობის ინსპექტირების ჯგუფის უფრო აქტიური ჩართულობა, როგორც შესრულების დროს, ასევე შესრულებული სამუშაოს მოცულობის და ხარისხის განსაზღვრის პროცესში.

განსაკუთრებით დიდი ოდენობის სამუშაოს შესრულების დროს კი, შერჩევის წესით, მოხდეს მოწვეული ექსპერტის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობის, ღირებულების და ხარისხის შემოწმება;

გამოვლენილი გარემოება

- საკრებულოს განკარგულებების და საფინანსო სამსახურის ცვლილებების იდენტურობის უზრუნველყოფისათვის კონტროლის დაწესების საჭიროება.

რეკომენდაცია

- გამომდინარე იქიდან, რომ საკრებულოს განკარგულებები არ არის თანხვედრაში მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ შეტანილ ცვლილებებთან, რომელიც შესულია დაწესებულების ქვეპროგრამებში -მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაწესებულების ხელმძღვანელობამ, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად, განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ აღნიშნულ საკითხზე;

გამოვლენილი გარემოება

- წყლის ზედამხედველობის ქვეპროგრამის საკრებულოს სხდომაზე გატანის საჭიროება.

რეკომენდაცია

- შემდგომში, ცალკე ქვეპროგრამის სახით, შესაბამისი სამსახურების მიერ გატანილ და განხილული იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წყლის ზედამხედველობის მუშაკების სახელფასო ხარჯები;

გამოვლენილი გარემოება

- მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების აქტიური ჩარევის აუცილებლობა დაწესებულების მიერ ტექნიკაზე საწვავის ჩამოწერის დროს.

რეკომენდაცია

- გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებულ ტექნიკის უმრავლესობას არ გააჩნია გამართული ოდომეტრები და ტექნიკაზე საწვავის ჩამოწერა მოხდენილია დაწესებულების თანამშრომლების მიერ ჩატარებული ქრონომეტრაჟის დროს დადგენილი ხარჯვის შესაბამისად -მიზანშეწონილად მიგვაჩნია მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების უფრო აქტიური ჩარევა აღნიშნულ საკითხში;

გამოვლენილი გარემოება

- ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების საჭიროება.

რეკომენდაცია

- მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების და დაწესებულების უფრო ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით, შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების, ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ" და „საჯარო ფინანსებისა და ქონების მართვის 2014 წლის სახელმძღვანელოს" მოთხოვნების შესაბამისად, მოახდენს დაწესებულების ქონების, (შენობა ნაგებობები, ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა) მოთხოვნების, ვალდებულებების ინვენტარიზაციას და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მათ შემდგომ განკარგვას.

თამაზ ლომიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის
სამსახურის უფროსი

ცრურწმენების ფყვეობაში

გასული საუკუნის 70-იან წლებში საშუალო სკოლაში რელიგიის ისტორიას ვასწავლიდი. იძულებული გავხდი, საშუალო დონეზე მაინც მესწავლა საგანი. მოვძებნე ლიტერატურა – სამეცნიერო თუ პოპულარული ენით დაწერილი. ვაკათებდი ჩანაწერებს. პირველყოფილი თემური წყობილებიდან XX საუკუნემდე. ბევრ ისეთ მიმდინარეობას გავეცანი, რომლებიც საბჭოთა კავშირში არ ფუნქციონირებდა: მაგია, სპირიტიზმი, ასტროლოგია და სხვა. ახლახან გავეცანი ჩემს ჩანაწერებს და მინდა, ჩემი აზრი შემოგთავაზოთ, რა თქმა უნდა, დილეტანტის კვალობაზე.

ჯერ კიდევ 135 წლის წინათ, 1882 წელს, დიდი ილია წერდა: „შორს რათ მივდივართ, ეს დღევანდელი სპირიტობა, ბუდიზმობა, გრაფ ტოლსტოის „სულის კვეთება". ის ამბავი, რომ ამერიკაში, სადღაც ბავშვი დაბადებულა და დიდი და პატარა მირბის იმის თაყვანისაცემლად და ბევრი სხვა ამისთანა, განა იმას არა ჰმოწმობს, რომ დღევანდლამდე ყოფილის ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუძე დაენგრა და თვით თაღიც მთელს შენობისა გაირღვა და ლამის გადმოიქცეს? განა ყოველივე ეს იმის მაგალითები არ არის, რომ დღესაც მოუსვენარი გონება ადამიანისა, ხან რას ეჭიდავება და ხან რას, რომ სადგური რამ მყუდროებისა სადმე და რაშიმე უპოვნოს სულსა, რომელიც დღეს ნაცარტუტასავით ჰდუღს?"

რას იტყოდა დიდი ილია, დღეს რომ გაცოცხლებულიყო და ენახა ათასგვარი სულთა გამოხმობანი, მოჩვენებანი, ჯადოქრები, კუდიანები, ქირომანტები, ასტროლოგები, მისნები, მჩხიბავნი, მოგვები, სიზმრის ამხსნელნი, სპირიტები, მკითხავნი, გრძნეულნი, ნათელმხილველნი და სხვა ათასგვარი შარლატანი, რომლებიც შესანიშნავად გრძნობენ თავს მასმედიაში და ეკრანიდან გვამცნობენ მათ ყოვლისშემძლეობას.



მოკლედ ამ მომდინარეობათა შესახებ:

პირველყოფილი თემური წყობილების წიაღში წარმოიშვა შამანიზმი რელიგიის უძველესი ფორმა. მორწმუნეებს სწამდათ ექსტაზში შესული შამანის და მასში ჩასახლებული სულის ურთიერთობა. ინდიელთა შესახებ გადაღებულ ფილმებში სწორად არის ნაჩვენები სპეციალურ სამოსელში, სიმბოლური აქსესუარებით აღჭურვილი, ცხოველთა და ფრინველთა ნაწილებით შემკული შამანი „სულის ძალით" ალაპარაკებული, ექსტაზში მყოფი გაშმაგებული ცეკვავს, ტრიალებს, აჟღარუნებს, მიმართავს ჰიპნოზს და სხვა.

პირველყოფილ საზოგადოებაში წარმოიქმნა მაგიაც, რომელიც ემყარებოდა გარე სამყაროს შესახებ არსებულ ცოდნის სიმცირეს.. გვიანდელ ხანაში მაგიის პრინციპმა განაგრძო არსებობა და წარმატებით შეეგუა სხვადასხვა სოციალურ გარემოს. შუა საუკუნეებში სწამდათ თეორი მაგია, რომელიც ღვთაებრივ ძალას იყენებდა და კეთილ მიზნებს ისახავდა. მას უპირისპირდება შავი მაგია – ეშმაკის ძალით მოქმედი. მეცნიერების განვითარებასთან ერთად, თითქოს უნდა გამქრალიყო მაგიური წარმოდგენები, მაგრამ ასე არ მოხდა.

ორაკული – სამისნო, სადაც რომელიმე ღვთაებას შესთხოვდნენ წინასწარ ემცნო თავისი ნება-სურვილი. ეწინასწარმეტყველა ამა თუ იმ მოვლენის შედეგი. ვისა არ გაუგონია დელფოს სახელგანთქმული ორაკული პითია, ამონის, ეგვიპტეში, ძველ რომში სიბილები და სიბილური წიგნები, მათი ადგილი დღეს ასტროლოგებმა დაიკავეს.

დღეს დასავლეთში ძალზე პოპულარულია ოკულტიზმი, მისტიკური მოძღვრება, რომლის ძალით არსებობს ზებუნებრივი ძალები, რომლებთანაც კონტაქტის დამყარება შეიძლება ფსიქიკის წვრთნითა და საგანგებო რიტუალის აღსრულებით. სწამთ იდუმალი გამოცხადება.

სპირიტიზმი- სწამთ მიცვალებულთა სულების გამოხმობა და მათთან კავშირის დამყარება. სულებთან დაკავშირება შეეძლოთ მხოლოდ რჩეულთ(ქურუმებს, მოგვებს)

ახლა შევეხოთ ზოგიერთ აღიარებულ ავტორიტეტს: კაცობრიობას უამრავი მისტიკური ავტორიტეტი ახსოვს, რომლებსაც სხვადასხვა საშუალებებით ათასგვარი „სასწაულით" განცვიფრებაში მოჰყავდათ ადამიანები. მოხერხებულად იყენებდნენ საზოგადოების ნაწილის უვიცობას და სასწაულმოქმედის სახელს იხვეჭდნენ. ასეთი იყო კალიოსტრო, რომელიც თავს ასაღებდა უმაღლეს საიდუმლოთა მაგისტრად, უკვდავად. აცხადებდა, რომ იცნობდა კლეოპატრას, მომსწრე იყო ეგვიპტის პირამიდების მშენებლობისა და სხვა. არ შევუდგები თხრობას მის მიერ ჩადენილ „სასწაულებზე". ყალთაბანდობისაკენ მისწრაფებამ უბიძგა მონაწილეობა მიეღო დედოფალ მარია ანტუანეტას ყელსაბამის ქურდობაში და კაცი უმაღლეს საიდუმლოთა მცოდნე, ალქიმიკოსი – ამხილეს და თავის მეგობარ ეპისკოპოსთან ერთად, ბასტილიაში ამოაყოფინეს თავი. მერე საფრანგეთიდან გააძევეს. რომში ისევ დააპატიმრეს და ციხეში დალია „უკვდავი" ცოდვილი სული.

ასეთივე ბედი ეწია მის წინამორბედ გრაფ სენ-ჟერმენს. მან პოლიტიკური ინტრიგებით გაითქვა სახელი.

რომელი ერთი ჩამოვთვალო: დაწყებლი ეგვიპტელი ქურუმებიდან, რომლებმაც ბრწყინვალედ გამოიყენეს მზის დაბნელება. დაამხეს ფარაონი რამზეს XII და თვითონ გაბატონდნენ. ანდა, სპარსელი მოგვები, თაღლითობით რომ მეფობა ჩაიგდეს ხელში.

მხოლოდ რუსეთის ისტორიის ერთ სამრცხვინო ფურცელს შევეხები. იშვიათად, რომ ისტორიაში ვინმეს მოეპოვებინოს ისეთი ავტორიტეტი, როგორც გრიშკა რასპუტინმა მოიპოვა რომანოვების კარზე. ის იყო მათი (სამეფო კარის) მასწავლებელიც, პატრონიც და დამრიგებელიც, ცხენის ქურდი, მთელ რუსეთში მოხეტიალე და ბოლოს, ხლისტების მოწაფე. ხლისტები ღვთის ხალხად ასაღებდნენ თავს. (მათზე კარგად აქვს მოთხრობილი ჭაბუა ამირეჯიბს „დათა თუთაშხიაში") ხლისტებთან ისწავლა მან ღმერთთან, სულიერ საწყისებთან, როგორ უნდა იყო ახლოს. ეს იდეა ხლისტების სექტაში ყველაზე ნათლად არის გამოხატული. ბოლოს პეტერბურგი და მეფის კარი ათასგვარი ავანტურისტის თავშესაფარი.

სხვათა შორის, რასპუტინთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა და იყენებდა მის ძლევამოსილებას, მეფის კარზე, ქართველი ავანტურისტი, კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპი, ოდესის ყოფილი გუბერნატორი ლევან დუმბაძე. როგორც ჩანს, ჩვენი მიშკა არ ყოფილა პირველი, რომელიც სამხედრო მინისტრის სუხომლინოვის ცოლს ჰყვარობდა, მისგან საიდუმლოებებს იგებდა და გერმანელებზე ჰყიდდა. ნათელმხილველმა გრიშკამ, რომელმაც წესიერად წერა-კითხვა არ იცოდა, ყეყეჩობამდე მიიყვანა სამეფო კარი. შედეგი – კატასტროფით დამთავრდა რომანოვების 300 წლიანი ბატონობა რუსეთში.

უფრო მეტი დრო დავუთმოთ ასტროლოგიას, რომლის ლიდერი, საქართველოში ავტორიტეტული სიფათით, ხშირად გამოდის ტელევიზიით. ეს არის მოძღვრება, რომლის თანახმადაც, ვითომდაც შესაძლებელია, ცაზე მნათობთა განლაგების მიხედვით ისტორიულ მოვლენათა, ადამიანის ან მთელი სახელმწიფოს ბედის წინასწარმეტყველება.

როგორც ამბობენ, ზოდიაქოს თანავარსკვლავედებზე გადის მზის ხილული, წლიური გზა ვარსკვლავთა შორის და მზის სისტემის პლანეტების ხილული, წლიური გზები.(იხ. ქართ. ენციკლოპედია თ. მე-3-ე) პლანეტების ურთიერთგანლაგებისა ან მათი მდებარეობის მიხედვით შედგენილია ჰოროსკოპი 12 თანავარსკვლავედის დამატებით.

მაინცდამაინც რატომ 12 თანავარსკვლავედი ახდენს გავლენას ადამიანის ბედზე და არა ანდრომედას თანავარსკვლავედი და სხვები, რომლებიც უფრო ახლოს არიან? ანდა, როგორ უნდა ჰქონდეს გავლენა გავარვარებულ აირს? ეს ხომ ეწინააღმდეგება მეცნიერებას და პირველ რიგში, მენდალის და მორგანის უდიდეს აღმოჩენას.

ჩემი აზრით, თუ რომელიმე შარლატანის წინასწარმეტყველება აღსრულდა, ეს წმინდა წყლის შემთხვევითობაა და სხვა არაფერი. მესინგმა, რომ გერმანიის დამარცხება „იწინასწარმეტყველა", უფრო მეტად დაკვირვების შედეგია. განა ტალეირანმა არ განსაზღვრა საფრანგეთის დამარცხება რუსეთთან 1812 წელში? იგივე მესინგმა გამოიცნო თბილისის დინამოს და ვასილ სტალინის (სტალინის შვილი) გუნდის —— შეხვედრის ანგარიში 3:1. როგორც ჩანს, მან იცოდა, რომ „დინამო" ხშირად მარცხდებოდა მოსკოვში. ანგარიში კი „მოარტყა". ამას უამრავი გულშემატკივარი ახერხებს დღეს. შემიძლია ჩამოვთვალო პოლიტიკოსების უამრავი წინასწარმეტყველება ამა თუ იმ მოვლენის შედეგის შესახებ. რომელმა ასტროლოგმა იწინასწარმეტყველა საბჭოეთის დანგრევა? რეიგანმა კი ივარაუდა და კიდევაც შეუწყო ხელი უზარმაზარი იმპერიის დაშლას.

თუ კომუნისტები წინასწარმეტყველებს და სასწაულმოქმედებს ებრძოდნენ, დღეს, დემოკრატიული თავისუფლების პირობებში, ჩვენს რესპუბლიკაში, უამრავი ასეთია. მათი მოღვაწეობისათვის ფართო ასპარეზია გაშლილი: ტელევიზია, რადიო, პრესა.. გამოდის წიგნები. მიდი, რაც გინდა თქვი, აკეთე, ურცხვად მოიტყუე (თითქოს პოლიტიკოსთა ტყუილები არ გვყოფნიდეს) განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ჰოლივუდის სტუდიიდან გამოსული კომერციული ფილმები: მაგიაზე, ჯადოსნობაზე, სპირიტიზმზე, მოჩვენებებზე და სხვა. საყურებლად საინტერესოდ გაკეთებულ ამ ფილმებს თითქმის ყოველდღე უჩვენებენ ტელევიზიით. ჩვენთან გამოდის გაზეთი „ნათელმხილველი". სატელევიზიო ჟურნალისტების საკმაოდ დაბალი ინტელექტის გამო სანახაობები(შოუ) ცუდად დადგმულ სპექტაკლებს ჰგავს. ამის მაგალითად გია ჯაჯანიძის შოუც კმარა. ზოგიერთ ჟურნალისტს სწამს ჯადოს არსებობა, აღარაფერს ვამბობ მოწვეულ სტუმრებზე. სად პოულობს ეს კაცი ამდენ ჭკუითავადმყოფს – ყველაფერი რომ იციან, უცხოპლანეტელები რომ ნახეს, ყველა ავადმყოფობას რომ არჩენენ, იციან როდის აღდგება ქვეყნის ერთიანობა...

მეცნიერებისა და ტექნიკის უმაგალითო განვითარების პირობებში, რომელი გაზეთიც არ უნდა აიღო, აუცილებლად წააწყდები მავანთა განცხადებებს მაგ ასეთს: „ქართულ-იაპონული საოცრება!!! ონკოლოგიური პრობლემების შეჩერება" და ჩამოთვლილია უამრავი ავადმყოფობა – მორჩენის 100%-იანი გარანტიით. (კვირის პალიტრა 11-17 სექტ. 2017წ) განა ეს დასაჯერებელია?

ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან, მეცნიერების განვითარების კვალობაზე, მოაზროვნენი ებრძოდნენ მისტიკას და მის გამოვლინებებს. გავიხსენოთ თუნდაც ლუკეციუსი და მისი „საგანთა ბუნებისათვის". შემდეგ განმანათლებლებლები – ფილოსოფოსები. XVIII საუკუნეში, როდესაც სოკოებივით მომრავლდნენ სულთამხილავები, მაგნეტიზიორები, ალქიმიკოსები. კანტმა შეისწავლა ეს მოვლენა და სტატიაში „სულთამხილავის ზმანებები" ამხილა ისინი. ებრძოდნენ მათ მწერლებიც. დანტემ ჯოჯოხეთში უკრა თავი, სერვანტესმა, ბოკაჩომ... რადა შორს მივდივართ დიდმა ილიამ უვიცი ცოლ-ქმრის მაგალითზე „კაცია-ადამიანში" ქვა-ქვაზე არ დატოვა ჯადო, მკითხაობა და სხვა.

ვინმემ არ იფიქროს, რომ ჰიპნოზს უარვჰყოფდე, რა თქმა უნდა ზოგიერთი მისტიკოსი ფლობდა მას და იმ ნაწილს, რომელიც შეისწავლის ჰიპნოზის საშუალებით შთაგონებას და წარმატებით იყენებდნენ.

საბჭოთა კავშირში მისტიკის განვითარებას ხელს უწყობდა ზოგიერთი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დისციპლინის ხელოვნური აკრძალვა 50-იან წლებში. ისეთი დარგები, როგორიცაა ფსიქოთერაპია, პიროვნების ფსიქოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია აკრძალული იყო და ჩანასახშივე დაიღუპა.

დღეისთვის მეცნიერების ამ დარგების დაბალი დონე რესპუბლიკაში ხელს უწყობს, როგორც მისტიკით გატაცებას, ასევე ოკულტიზმის ნაირსახეობად ქცეულ პარამედიცინის განვითარებას, ხელს უწყობს ექსტრასენსომანთა და მოშარლატანო ექიმბაშების მოზღვავებას.

ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ სხვადასხვა რელიგიების მიერ, მერკანტილური მოსაზრებით, უამრავი სასწაული აღიარებულია სინამდვილედ და მათი სჯერათ. აშკარად შეინიშნება აზროვნების დაბალი დონე. გავიხსენოთ თუნდაც 2-3 წლის წინათ ვინმე დედა პრასკოვიას სიზმარი და ათასობით ადამიანის მცხეთაში ჩასვალა, იმ იმედით, რომ მათ პრობლემებს იქ დანთებული სანთელი და ლოცვა გადასჭრიდა.

ამას ემატება მრავალი აუხსნელი მოვლენა: „ბევრი რამ ხდება, ჩემო ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ, სიზმრადაც არ მოლანდებიათ." (ჰამლეტი) მათ ახსნაზე მეცნიერებმა უნდა იმუშაონ და კიდევაც მუშაობენ. ამიტომ ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს მხოლოდ მათი დასკვნები.

კლიმენტი სუთიაშვილი,
ისტორიკოსი

მეხილე ფერმერები ერგნეთში

ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ ე ლ კ ა ნ ა „ სისტემატურად ატარებს ტრენინგებს ბიომეურნეობით დაინტერესებული ფერმერებისათვის.

მორიგი ასეთი კარგი შეხვედრა შიდა ქართლის რეგიონის ფერმერთათვის შედგა გორის რაიონის სოფელ ერგნეთში.

შეხვედრის მონაწილეებმა დაათვალიერეს ადგილობრივი მცხოვრების გიორგი ქოქოზაშვილის კუთვნილი ნახევრადინტენსიური ტიპის ვაშლის სადემონსტრაციო ნაკვეთი.

ბაღი გადახურულია სეტყვის საწინააღმდეგო ბადით.

სპეციალისტების აზრით, ასეთი ბადეები ხელს უწყობს მცენარის განვითარებას, იცავენ ნაყოფებს ქარისა და მზის დამწვრობისაგან.

ბადეებს შეუძლია ტემპერატურის ნებისმიერი მკვეთრი ცვლილების შემცირება და სტაბილური ტენიანობის შენარჩუნება.

პროფესორმა ლალი გოგინავამ უპასუხა ფერმერების კითხვებს.

მსგავსი ღონისძიებები კიდევ გაიმართება.

ავთანდილ გოგალაძე,
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის
საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახური

სურსათის უვნებლობაზე სახელმწიფო კონტროლი მომავალშიც მკაცრი იქნება

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზანი, რომელსაც სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს, სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენაა, რასაც ვახორციელებთ შემდეგი მექანიზმებით: ინსპექტირება, მონიტორინგი, ზედამხედ-

ველობა, დოკუმენტური შემოწმება, ნიმუშის აღება.

დოკუმენტური შემოწმება, რომელიც ითვალისწინებს ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებულ საბუთების შემოწმებას, ბოლო ორი თვის მანძილზე განვახორციელეთ 100-მდე ობიექტში, მათ შორისაა აგრარული ბაზრის, ხორცის, რძის და რძის პროდუქტების რეალიზატორები, საბავშვო ბაღების სამზარეულოები, მარკეტები.

რეგულარულად ვახდენთ საზოგადოებრივი კვების ობიექტების – რესტორნების და კაფე-ბარების სამზარეულოების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობის, პროდუქტის შენახვის და რეალიზაციის პირობების, ტემპერატურული რეჟიმების კონტროლს.

შემოწმების შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა დარღვევების გამო, საწარმოო პროცესი შეუჩერდა და დაჯარიმებულ იქნა 1000 ლარით საზოგადოებრივი კვების რამდენიმე ობიექტი, რომელთაც მუშაობა განაახლეს მხოლოდ ჩვენს მიერ მიცემული მითითებების შესრულების შემდეგ.

დოკუმენტური შემოწმების დროს აღმოჩენილი დარღვევების გამო, დაჯარიმდა 20 ბიზნესოპერატორი ბოლო პერიოდის მანძილზე (ჯარიმის ოდენობა 200-500 ლარია ი.მ-ბრუნვის მიხედვით).

სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, მუდმივად ვახორციელებთ მონიტორინგს მიკრობიოლოგიური მაჩვენებლებისა და ტოქსიკური ელემენტების შემცველობაზე სხვადასხვა სურსათში.

ქართული თაფლის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისათვის აუცილებელი მოთხოვნების შესრულებისთვის მიმდინარეობს თაფლში გარკვეული ნივთიერებებისა და ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენების კვლევა (6 ნიმუში იქნა აღებული რაიონში). უცხოეთის ლაბორატორიებში ჩატარებული შემოწმება ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვნად იკლო დარღვევების რაოდენობამ.

მონიტორინგის მიზნით, აღებული იქნა სხვადასხვა სურსათის 60-მდე ნიმუში.

საბოლოოდ, ზემოთაღნიშნული ღონისძიებების შედეგი არის ის, რომ წინა წელთან შედარებით დარღვევების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

ხათუნა ქიტიაშვილი,
სურსათის უვნებლობის სამსახურის შიდა ქართლის
რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორი

ფაროსანას საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებები

ფაროსანას წინააღმდეგ შეიძლება გამოვიყენოთ ბრძოლის მექანიკური და ქიმიური მეთოდი.

ცნობილია, რომ შემოდგომით ზრდასრული ფაროსანა გამოსაზამთრებლად თავს აფარებს შენობა-ნაგებობებს. მოსახლეობამ ისინი უნდა შეაგროვოს და გაანადგუროს. თუ დიდი რაოდენობითაა, შეიძლება გამოყენებული იყოს მტვერსასრუტი. შეიძლება გამოვიყენოთ ნათურები, სასურველია, რა თქმა უნდა, მცირე



სიმძლავრის (12ვ.) ისინი უნდა მოთავსდეს მაგ: მინის 3 ლიტრიან ქილაში ყელთან ახლოს. შიგ უნდა ჩაისხას ნახევრამდე საპნიანი წყალი. ღამით ანთებული ნათურა მიიზიდავს მწერებს, რომლებიც ჩაცვივდება ხსნარში. ეზოებში შეიძლება მოთავსდეს მუყაოს ოთხკუთხედი ყუთი, რომელთა კედლებზე იქნება 3-5სმ დიამეტრის ხვრელები. ფაროსნები შედიან შიგნით და იბუდებენ, შემდეგ გავანადგურებთ. გამოიყენება აგრეთვე ფერომონიანი საჭერი წებო-ფირფიტები. მოსახლეობას ვთხოვთ ფაროსნების აღმოჩენის შემთხვევაში, მოგვაკითხოს სურსათის ეროვნულ სააგენტოში.

ქიმიური მეთოდებიდან უნდა გამოვიყენოთ საქართველოში რეგისტრირებული პრეპარატები. საერთაშორისო ექსპერტების გამოცდილებით აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურია პირეტროიდული ჯგუფებიდან ბიფეტსინის შემცველი პრეპარატები: ტალსტარი, ინსეკარი. პრეპარატების ხარჯვის ნორმაა 0,6-1 ლ. ჰექტარზე. ინსექტიციდების პირველადი შესხურება უნდა მოხდეს არაუგვიანეს ივნისის ბოლოს. მცენარეების დამუშავება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მავნებლით დასნებოვნებულ ადგილებში. მნიშვნელოვანია, ქიმიური წამლობა ჩატარდეს ნიმფის (მატლის) ფაზაში.

პესტიციდების გამოყენებისას აუცილებელია დაცვის ინდივიდუალური საშუალებები – სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, რესპირატორი, აირწინაღი, დამცავი სათვალე და ხელთათმანი, შესხურებისას აკრძალულია თამბაქოს მოწევა, საკვების მიღება, პესიტიციდების გამოყენების წინ დაახურეთ სასმელი წყლის ჭას, დაამწყვდიეთ ფრინველი, საქონელი, შეზღუდეთ ფუტკრების ფრენა.

შეწამლული პროდუქტის გამოყენება დაუშვებელია წამლობიდან 18-20 დღის განმავლობაში. წამლობა ტარდება უქარო ამინდში დილას ან საღამოს, ან ღრუბლიან ამინდში შუადღის საათებში.

არ შეიძლება ქიმიური პრეპარატების გამოყენება წყალსაცავებისა და წყალსატევების სიახლოვეს.

რამაზ ღამბარაშვილი,
სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორი

ქვიშხეთის სანახებიდან, მოჩანს ხაშურის ველები და როგორც შარავანდედი, თავს ადგას ცისარტყელები.
არჩილ სუთიაშვილის ფოტო

გიორგი ნასყიდაშვილი ევროპის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს

ამ დღეებში, ქარელში, ჩატარდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ჯემალ მჭედლიშვილის სახელობის VII რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა სამბოში 2001-2002 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ხაშურის სასპორტო სკოლის წარგზავნილებმა დიდებულად იჭიდავეს და ერთი-ოქროს, ორი-ვერცხლის და ორიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ტურნირის ჩემპიონი გახდა გიორგი ნასყიდაშვილი (60კგ.) ვერცხლის მედლები ნოდარ ბუხრიკიძემ (60კგ.) და ალეკო ტუსიაშვილმა (42კგ.) მოიპოვეს, ბრინჯაოსი კი გიორგი ნოზაძემ (42კგ.) და ბექა ნინიაშვილმა (84კგ.)

ამ გამარჯვებით გიორგი ნასყიდაშვილი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი გახდა და დეკემბერში ხორვატიაში გაემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონობისათვის იბრძოლებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მწვრთნელის ბუხუტი ბუხრიკიძის დამსახურება. სწორედ მისი დიდი პროფესიონალიზმის შედეგია, რომ გიორგი ნასყიდაშვილი წელს უკვე, რიგით მესამე სპორტსმენია, მის აღსაზრდელებს შორის, რომლებიც ასეთ პრესტიჟულ ჩემპიონატში იღებენ მონაწილეობას.

10 წლის „ივერიელები" შიდა ქართლში გაჩემპიონდნენ

ამ დღეებში, გორში, გაიმართა გიორგი გაბუნიას სახელობის ტურნირი, რომელშიც შიდა ქართლის საფეხბურთო სკოლების ათი წლის მოზარდები მონაწილეობდნენ. ჩვენი სასპორტო სკოლის ფეხბურთელმა, რომლებსაც **მევლუდ ლომიძე** და **ვახტანგ ჯაფარაშვილი** წვრთნიან, შესანიშნავად იასპარეზეს და გორიდან საპატიო თასიც წამოიღეს. ნახევარფინალში მათ კასპელი თანატოლები დაჯაბნეს, ფინალში კი გორის „დილას" მოუგეს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.